ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 85 (19776) სამშაბათი, 10 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

კონტროლის კრიტერიუმია საბოლოო შედეგი

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის გაფართოებული სხდომა

7 თებერვალს გამართულ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე განსაზღვრეს აქტუალური ამოცანები, რომლებიც უკავშირდება დირექტივების შესრულების შემოწმების ქმედითობის გადიდებას, სახელმწიფო, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევების თავიდან აცილებას, რესპუბლიკის მართვის აპარატის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. სხდომის მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების 1986 წლის საქმიანობა და „სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად მათი მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებანი.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. რ. საჯაიამ.

საკონტროლო მუშაობის პრაქტიკის, ცალკეული რეგიონებისა და მთლიანად რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის სტრატეგიული კურსის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების კონკრეტული გზების შესახებ ილაპარაკეს აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ნ. სიჭინავამ, აჭარის ასს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ თ. ვ. ბაზიაშვილმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გ. ჩეხოევმა, ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ს. ძნელაძემ, მახარაძის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ქ. კოსტავამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, „კომკავშირული პროექტორის“ რესპუბლიკური შტაბის თავმჯდომარემ გ. გ. ტონკონოგოვმა, მარნეულის რაიონის ალეკეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომმა, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ გ. ჯ. აბდულაევმა, ყვარლის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. მ. ბეჟანიშვილმა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავმა, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრმა ა. ლ. მირზოიანმა, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ რ. გ. ვაჩარაძემ.

კამათში მონაწილეობდა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. შეტოვი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სანიმუშო წესრიგის დამყარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ყოველი კომუნისტი და მშრომელი რაც შეიძლება აქტიურად ჩაებმება ბრძოლაში წესრიგის დაცვისათვის. ეს ხომ ჩვენი საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა, თქვეს სხდომის მონაწილეებმა. მთელ ამ მუშაობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეთმობა სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომელთა განსაკუთრებული ძალაა სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ორგანული და ბუნებრივი შეერთება.

უკანასკნელ წლებში სახალხო კონტროლის ორგანოები კიდევ უფრო მეტად ხდებიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საიმედო დასაყრდენი სრულიად სხვადასხვა საკითხისა და პრობლემის გადაჭრაში — წარმოების კულტურის გაუმჯობესებით, უუყაირათობის დაძლევით დაწყებული და სოციალური სფეროს აღმავლობისათვის, თითოეული მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის ბრძოლით. შესამჩნევი ეფექტი მოჰყვა პარტიული და საზოგადოებრივი კონტროლის შეხამებას, რომლის კარგ მაგალითს იძლევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისია და რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი.

სახალხო კონტროლიორთა რესპუბლიკური თათბირის შემდეგ განვლილი ნახევარი წლის მანძილზე დიდი მუშაობა გაწეული. გაიზარდა შეტევითობა, მოთხოვნელობა, უმჯობესდება კონტროლიორთა კადრების შერჩევა. მაგრამ დღეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, უფრო თვალნათლივ მოჩანს ხარვეზები. ბევრი მიმართულებით გარდაქმნა ნელა წარმოებს, ზოგჯერ კი სრულიად შეუჩნეველია. ის სეზონური ცხოვრებაში რიოზული მდგომარეობა, რომელიც, როგორც პლენუმზე აღინიშნა, შეიქმნა საზოგადოების სხვადასხვა სფეროში და მოითხოვს ახლა ღრმა ცვლილებებს, ბევრად არის განსიორობებული ნამდვილად საყოველთაო-სახალხო კონტროლის უქონლობით, მშრომელთა პასიურობით, სწორი სოციალური ორიენტირების დაკარგვით. ამიტომაც უფრო ცხადი და საგრძნობი ხდება პლენუმის გადაწყვეტილებათა მთელი ძალა, გაბედულება და აქტუალურობა, მიზნები, რომლებიც მან დასახა, მაგისტრალური გზები, რომლებიც აირჩია პარტიის XXVII ყრილობის კურსის რეალიზაციისათვის.

იმის ერთ-ერთი გარანტია, რომ გარდაქმნის დაწყებული პროცესი ბოლომდე იქნება მიყვანილი, რომ ადრინდელი შეცდომები აღარ განმეორდება, არის მშრომელი ადამიანებისაგან მომდინარე რეალური კონტროლის ყველა ინსტრუმენტისა და ფორმის შექმნა და გაფმტკიცება. მაგრამ პრაქტიკულად კონტროლი ჯერ არ გამხდარა რესპუბლიკაში ნამდვილად მასობრივი, საერთო-სახალხო. აქ ჯერ კიდევ ბევრია ფორმალიზმი, მოჩვენებითობა, არ არის მიღწეული სათანადო გარდატეხა.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში სახალხო კონტროლის საგუშაგოებისა და ჯგუფების უმრავლესობა კვლავ მოქმედებს პასიურად, გაუბედავად. ზმირად ეს გამოწვეულია აგრეთვე კოლექტივებში არასაკმარისად ინიციატივიანი, გულსადილი ატმოსფეროთი, პარტიული კომიტეტების სუსტი მოთხოვნელობით. ამავე დროს აქ არის მთელი საკონტროლო საქმიანობის გარდაქმნის საკვანძო რგოლი. სწორედ ხომ მცირეთი, ძირეული რგოლებით იწყება დარღვევების, სოციალისტური საკუთრების დატაცების, წამატებებისა და თვალის ახვევის, უუყაირათობის უმრავლესობა, რომლებიც არ აწყდებიან ჯერეოვან წინააღმდეგობას, ზოგჯერ მეტად დიდ მასშტაბს იძენენ.

რესპუბლიკაში 45 ათას ჯგუფად და საგუშაგოდ გაერთიანებული 250 ათასზე მეტი სახალხო კონტროლიორია. და მაინც, ისინი ვერ ამჩნევენ ბევრ დარღვევას, რომლებიც შეუიარაღებელი ფიზიკურათაც კი ჩანს. მათ ხედავენ, მაგრამ შეურიგდნენ.

ავიღოთ თუნდაც ბოლო მაგალითი, როცა გეგმის შესრულების მაჩვენებლებიდან ამოიღეს მრავალი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი და სხვა ობიექტი, რომლებიც საექსპლოატაციოდ ხარვეზებით იყო მიღებული. მარტო საბინაო მშენებლობის ხაზით ამოღებულია 173 ათასი კვადრატული მეტრი ბინა, მათ შორის 100 ათასზე მეტი თბილისში. ბრალეულებს, რა თქმა უნდა, შესაბამისი სასჯელი დაედოთ. მაგრამ სხდომაზე სამართლიანად დაისვა კითხვა: ნუთუ მთელი ეს ნაკლოვანებანი შეუმჩნეველი უნდა დარჩენოდა თვით მუშებს ფხიზელ თვალს? საამშენებლო ორგანიზაციებსა და მშენინდუსტრიის საწარმოებში ხომ 18 ათასზე მეტი სახალხო კონტროლიორია! მაშ ვის უნდა ვეყურდნობოდეთ, თუ არა მათ? სწორედ ასეთ საკითხებში, სადაც განსაკუთრებული მომთხოვნელობა და პრინციპულობაა საჭირო, დიდ მნიშვნელობას იძენს ძალების გაერთიანება, ერთობლივი მოქმედება.

ანდა ასეთი მაგალითი. ახმეტის რაიონში ორი ათასზე მეტი სახალხო კონტროლიორია. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველი მეოცე მცხოვრები სახალხო კონტროლიორია. ამასთან არავის არ მოუხდენია რეაგირება აქ ყურძნის დამზადებისას დაშვებულ უხეშ დარღვევებზე, რომლებისთვისაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიიდან გარიცხა და თანამდებობიდან გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივანი

(დასასრული მე-2 გვ.).

პროფკავშირს — მუდმივი პარტიული მზრუნველობა

10 ოქტომბერ წლების მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მშრომელმა ადამიანებმა შეიტანეს. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს მათი დარაზმისათვის, რათა განსაკუთრებული წარმატებებისათვის მიგვეღწია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული სახალხო მეურნეობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში. რესპუბლიკის მშრომელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეორეთმეტე ხუთწლედსა და ახალი ხუთწლედის პირველ წელიწადს ხელშესახებ წარმატებებს მივაღწიეთ. მაგრამ უძრაობის, თვითკმაყოფილებისა და ხელმშვებულობის ტენდენციას, ახე აშკარად რომ ჩანს თავი ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროში, არ შეიძლება თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა პროფკავშირულ ცხოვრებასა და მუშაობაზე. ეს პირდაპირ და პირუთვნელად ითქვა იანვრის დამლევს გამართულ საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობაზე.

მართალია, ახალ პირობებში მუშაობის პირველმა წელმა გარკვეული ძვრები და შედეგები მოგვიტანა რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდაში, სოციალური სფეროს განვითარებაში, მაგრამ ამაზე კი არ შეიძლება თვალის მოხუჭვა, რომ შარშან სასაკონლო პროდუქციის წარმოების გეგმებს თავი ვერ გაართვა რესპუბლიკის 77 სამრეწველო საწარმომ, ხოლო 115 საწარმომ ვერ შეასრულა რენტაბელობის გეგმები. დაკლებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ 136 მილიონ მანეთს მიაღწია.

ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის ზრუნვა პროფკავშირების ფუძეა საქმეა და მისმა თითოეულმა რგოლმა, თითოეულმა ინდივიდმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა დროზე დავძლიოთ ხარვეზი, ნაკლი, ჩამორჩენა და თამამად გავიდეთ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ მიჯნებზე.

ყრილობაზე საქართველოს პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენებაშიც და კამათის მონაწილეთა სიტყვებშიც პირუთვნელად ითქვა, რომ პროფკავშირთა ფორმალური მიდგომის ერთ-ერთი დადასტურებაა სოციალისტური შეჯიბრების ახლანდელი მდგომარეობა. რესპუბლიკის საწარმოებში მეტად ნელა იქმნება შრომითი კოლექტივების საბეგრები და ცუდად გვარდება მათი მუშაობა. ჩვენში დღემდე არ არის შემუშავებული ახალი ტიპის ბრიგადების განვითარების, მათი მუშაობის ორგანიზაციის ზუსტი სისტემა. მაგალითად, მრეწველობაში ამ ფორმამ მოიცვა მუშათა მხოლოდ 28 პროცენტი.

ყრილობის მუშაობას ცხადყო, რომ რესპუბლიკაში შრომის დისციპლინა ვერ დგას დღეკანდელ მოთხოვნათა დონეზე. ეს კი იმის ბრალია, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები არ იჩენენ საკმარის მომთხოვნელობას, სიმტკიცესა და პრინციპულობას, რაც გამოუსწორებელ დაღს ასვამს როგორც მშრომელთა მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, ისე სამეურნეო მაჩვენებლებს: მაგალითად, მარტო შარშან სხვადასხვა მიზეზით სამუშაოზე არ გამოსულა ათასობით მუშა, რის გამოც 9 თვეში რესპუბლიკამ დაკარგა 80 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა. ასევე დიდ დანაკარგებს იწვევს კადრების დინამობაც. ამასთან დაკავშირებით მრავალი პროფკავშირული კომიტეტის ღონისძიებები ფორმალური, ზეტელი და კამპანიური ხასიათისაა. ეს განსაკუთრებით ეხება საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს.

დღეს, როცა საბჭოთა საზოგადოებაში მტკიცედ მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესი, ჩვენი რესპუბლიკის დარგობრივი პროფკავშირის ყველა კომიტეტმა როდი დაიწყო აქტიურად გარდაქმნა. ამის თვალსაჩინო მაგალითია საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატაქცილების მუშათა პროფკავშირის კონფერენცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საქმიანობა და არადამაკმაყოფილებლად ცნო დარგის მუშაობა, დაგმო მასში ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენები. კონფერენციაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაშიც მეტი სიმწვავით უნდა ყოფილიყო გაკრიტიკებული ეს ნაკლოვანებები.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების უმრავლესობის მუშაობის სტილის ერთ-ერთი მთავარი ნაკლია ის, რომ ისინი თავიდან იცილებენ პრობლემებს და მხოლოდ ფორმალურ რეაგირებას ახდენენ მრავალ აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხზე. ამიტომ პარტიულმა კომიტეტებმა პრინციპულად უნდა მოსთხოვონ პროფკავშირულ ხელმძღვანელებს, რომ ზედმიწევნით ფლობდნენ ვითარებას, კარგად იცნობდნენ ცხოვრებით ნაკარნახევ პრობლემებს და კოლექტივის განწყობილებას.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის, პროფკავშირული ორგანიზაციების გაკეთილშობილების უმნიშვნელოვანესი პირობაა მათი უნარიანი და სწორი პარტიული ხელმძღვანელობა. სამწუხაროდ, მეტი წილი საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები ჯერ კიდევ დროულად და ღრმად ვერ სწვდებიან პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, მათს ავ-კარგს, ამიტომ ვერც იყენებენ პროფკავშირების კოლოსალურ შესაძლებლობებს სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმის საქმეში. ამაზე მეტყველებს ციფრები: რესპუბლიკის 93 საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტიდან შარშან 78-ს არ განუხილავს ბიუროზე პროფკავშირულ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები. რა იყო ამის მიზეზი? უდიდესი შესაძლებლობების მქონე, პრაქტიკულად ყველა შრომითს კოლექტივში მოქმედმა მრავალმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო პრინციპული პოზიციების შენარჩუნება, — აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, — ყველა მათგანი როდი ებრძოდა შეუპოვრად ნეგატიურ მოვლენებს, განუკითხავს, ურთიერთთავდებობას, დისციპლინის შესუსტებას“.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ვერ შეძლეს უწყებრივი ბარიერები დაეძლიათ ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კონფერენციაზე და ამ კავშირის პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. ამ დარგების მრავალ საწარმოში გამოვლინდა დატაცების, წამატებისა და თვალის ახვევის, სახალხო დოვლათის განაიავების ფაქტები. ამიტომ უპატიოსნო ადამიანები, მათ შორის პროფკავშირის საჩხერის და ყვარლის რაიკომების თავმჯდომარეები გაირიცხნენ პარტიიდან და მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საჩხერა გახდა მთლიანად დაეშალათ საჩხერის რაიონული სამრეწველო კომბინატის პროფკავშირული ბიურო, ვინაიდან ბიუროს ცხრა წევრიდან ოთხი სამართალში მიეცა, ხუთი კი პარტიიდან გაირიცხა. მანამდე კი, ამ პროფკავშირული ბიუროს, ისევე როგორც ამ პროფკავშირის ყველა სხვა არჩევითი ორგანოს მუშაობა ერთხმად შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

იანვრის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ გარდაქმნისათვის მუშაობაში პარტია საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ კადრებს ეყრდნობა. ამიტომ ადგილებზე პარტიულმა ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებით, კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ყურადღება და ხელმძღვანელობა პროფკავშირული კადრების შერჩევისადმი, პროფკავშირულ ორგანოებში პარტიული ბირთვის განმტკიცებისადმი. პროფკავშირული კომიტეტების წევრებისა და მათი თავმჯდომარეების შემადგენლობაში ჯერ კიდევ ცოტანი არიან კომუნისტები, პირველადი და საამქრო პროფკავშირული ორგანიზაციის ბევრ კომიტეტში კი საერთოდ არც ერთი სკკპ წევრი არ არის. ამიტომ მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს პროფკავშირულ ორგანოებში შექმნილი პარტიული ჯგუფების საქმიანობა.

პარტიულ ორგანოებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ პროფკავშირისადმი სისტემატური და სწორი ხელმძღვანელობა მათი ერთ-ერთი უპირველესი საქმე და მოვალეობაა. ამის ხორცშესხმა კი უეჭველად დაეხმარება საქართველოს პროფკავშირს, რათა ღირსეულად შეხვდეს საკავშირო პროფკავშირთა XVIII ყრილობას, წარმატებით შეასრულოს ახალი ხუთწლედის სამეურნეო ამოცანები.

1987 წლის 8 თებერვალს მოსკოვის დროით 2 საათსა და 28 წუთზე „სოიუზ ტმ-2“ კოსმოსური ხომალდი შეუპარაპარდა „მირ“-„პროგრეს-27“ ორბიტულ კომპლექსს. შეხაპარაპირებელი კვანძის ჰერმეტულობის შემოწმების შემდეგ კოსმონავტები იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი სადგურში გადავიდნენ.

ორბიტული სამეცნიერო სადგური „მირი“ დედამიწისირბენელი კოსმოსურ სივრცეში 1986 წლის 20 თებერვლიდან მოქმედებს. პირველი ექსპედიციის ეკიპაჟმა — ლეონიდ კიზიმმა და ვლადიმერ სოლოვიოვმა ყოველმხრივ გამოსცადეს კონსტრუქციის ელემენტები, გამართეს და აამუშავეს აპარატურა, განახორციელეს ხელსაწყოებითა და მოწყობილობით სადგურის დამატებითი აღჭურვა.

სადგური „მირის“ ექსპლოატაციის ახალ ეტაპზე გათვალისწინებულია შეიქმნას მუდმივმოქმედი ორბიტული პილოტირებული კომპლექსი სამეცნიერო და სახალხო დანიშნულების სპეციალიზებული მოდულებით. კომპლექსში ამხანაგებმა რომანენკომ და ლავეიკინმა უნდა შეასრულონ ასტროფიზიკური, გეოფიზიკური, ტექნოლოგიური, ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების ვრცელი პროგრამა.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, „მირ“ პილოტირებული კომპლექსის სახბორტო სისტემები, რომელშიც შედის სახაზო ბლოკი და „სოიუზ ტმ-2“ და „პროგრეს-27“ ხომალდები, ნორმალურად მოქმედებენ.

კოსმონავტები რომანენკო და ლავეიკინი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

✦ ✦

ზრენის მართვის ცენტრი, 9 თებერვალი. (საკდესი). მეორე დღეა მუშაობენ „მირ“ პილოტირებულ კომპლექსში იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი.

კოსმონავტები განაგრძობენ პილოტირებული ფრენის რეჟიმზე სადგურის გადაყვანის დაგეგმილ ოპერაციებს. მათ მოაწყვეს, კერძოდ, სიცოცხლის უზრუნველყოფის, თერმორეგულირების სისტემების განკოსერვება, შეამოწმეს რადიო-და სატელევიზიო კავშირის საშუალებათა ფუნქციონირება, მოწყობილობისა და აპარატურის მდგომარეობა.

9 თებერვლიდან ეკიპაჟისათვის სამუშაო დღე დადგენილია მოსკოვის დროით 8 საათიდან 23 საათამდე.

კოსმონავტების მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, „მირ“ პილოტირებული კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს. მისი ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 369 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 328 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,4 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი თავს კარგად გრძნობენ.

(საკდესი).

„ინტერკოსმოსის“ საბჭოს დროშით

ბრაზილიის მეცნიერები შეემატნენ იმ მრავალი ქვეყნის სპეციალისტთა თანამეგობრობას, რომლებმაც თავიანთი ძალები გააერთიანეს სსრ კავშირის მეცნიერებთან აკადემიის „ინტერკოსმოსის“ საბჭოს დროშით კოსმოსის მშვიდობიან კვლევაში. ასეთია ბრაზილიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მოსკოვში 6 თებერვლის დამთავრებული პირველი ვიზიტის შედეგები.

ინსტიტუტის გენერალურმა დირექტორმა მარკო რაუმმა გამოთქვა კმაყოფილება საბჭოთა სამეცნიერო ცენტრებში გამართული მოლაპარაკების გამო და ამ შეხვედრებს უწოდა კოსმოსურ ორბიტებზე სსრ კავშირისა და ბრაზილიის თანამშრომლობის ნაყოფიერი სტარტი.

დარწმუნებული ვართ, განაცხადა მან საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომ საბჭოთა კოსმოსური პროგრამა მთელი თავისი მიმართულებებით სასიკეთო ასპარეზს შეუქმნის მზვდმბანი მიზნით კოსმოსური სივრცის შესწავლითა და გამოყენებით დაინტერესებული სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს. პირველ ხანებში, ხაზი გაუსვა მან, ჩვენ განსაკუთრებით დაგვინტერესა მონაწილეობამ ისეთ დიდ საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა „ფობოსი“ და „აქტიური“, რომლებისთვისაც მზადება დაიწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტსა და სხვა ცენტრებში, მაგრამ ჩვენ კმაყოფილებით აღვიქვით საბჭოთა კოლეგების მეგობრული ეესტი, რომლებმაც გაგვაცნეს სსრ კავშირის წარმატებით განვითარებადი კოსმოსური პროგრამის სხვა მიმართულებანიც.

(საკდესი).

ძმური დახმარების ხელი

გვატყობინებენ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტები

ახლა, როცა სტიქიამ ნაწილობრივ უკან დაიხია და ადამიანებს თავისი იავარქმნილის აღდგენა-განახლების საშუალება მიეცათ, მთელი რესპუბლიკის უმთავრესი საზრუნავი კვლავ და კვლავ დაზარალებული რაიონების რაც შეიძლება უმოკლეს დროში აღორძინებაა.

სოხუმი. აფხაზეთის ასსრ დედაქალაქის მშრომელები ძმურად უწევდიან დახმარების ხელს დაზარალებულთ, მხარში უდგანან მათ მორალურადაც და მატერიალურადაც.

სოხუმის რკინიგზის სალოკომოტივო დეპოში გამართულ მიტინგზე მემანქანე-ინსტრუქტორთა ინიციატივას — მეცამეტე ხელფასი (20 ათასი მანეთი) მთლიანად გადარიცხონ დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მიტინგის მონაწილეებმა.

რკინიგზელთა ინიციატივას მხარი აუბეს ქიმიური ქარხნის, გაერთიანებული ავიასაწარმოს, ქალაქის მეორე საავადმყოფოს და სხვა შრომითმა კოლექტივებმაც.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა თავიანთ საერთო კრებაზე, როგორიცაა „ფობოსი“ და „აქტიური“, რომლებისთვისაც მზადება დაიწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტსა და სხვა ცენტრებში, მაგრამ ჩვენ კმაყოფილებით აღვიქვით საბჭოთა კოლეგების მეგობრული ეესტი, რომლებმაც გაგვაცნეს სსრ კავშირის წარმატებით განვითარებადი კოსმოსური პროგრამის სხვა მიმართულებანიც.

(საკდესი).

თავდადება

გმირობამ არ იცის დრო და ადგილი.

ვერც აზერბაიჯანელი ჭაბუკი, რიგითი ჯარისკაცი რაჰიბ მამედოვი წარმოიდგენდა, რომ მისი გმირობის ადგილი ქართული სოფელი ჭალადიდი გახდებოდა.

სწორედ აქ, ამბოხჩრებულ რიონთან ჭიდილში გამოსჩენდა მან თავისი გმირობა — სტიქიისგან იხსნა სხვათა სიცოცხლე, თავად კი უკვდავებაში გადაბინადრდა.

აზერბაიჯანის აგდამის რაიონის სოფელ უარადაღლში რ. მამედოვის მშობლების სახელზე გაიგზავნა დეპეშა: „რაჰიბის გმირული საქციელი სამუდამოდ დარჩება ქართველ მშრომელთა მადლიერ ხსოვნაში როგორც ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხის ძმობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის მაღალი იდეალების თავდადებული სამსახურის მკაფიო ნიმუში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია“.

(საკინფორმი).



მრავალკოლონიანი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება ეთმობა პარალელური თვლის რიცხვითი ალგორითმების შემუშავებას. ამ მიმართულებით დიდი მუშაობაა გაწეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

სურათებზე: ინსტიტუტის მოწინავე მეცნიერი თანამშრომელი გიორგი ლობჟანიძე; ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა ეს8-6/7.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

სიცოცხლე-შივე იქცა ლეგენდად

სამცხეენინი ტყვიამფრქვევის საზიდარი, რომელზეც სიმღერებია შექმნილი, წითელარმიელის ტყვიით დაცხრილული მაზარა და ფაფანი სამოქალაქო ომის ცეცხლოვანი წლების ნამდვილი ნიშნებია. ეს ნივთები ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოქის ისტორიის მუზეუმში ექსპონირებულია სამოქალაქო ომის დეგენერარული დივიზიის უფროსის ვასილ ივანეს ძე ჩაპაევის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

მუზეუმის თანამშრომლების მიერ მომზადებული ფოტოსტენდები გვაცნობს წითელი მეთაურის სახელოვან საბრძოლო გზას.

ხაღის მასებიდან გამოსულმა ვასილ ჩაპაევი ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ჩადგა მის დამცველთა რიგებში. მისი მეთაურობით 25-ე მსროლელმა დივიზიამ უჭკნობი დიდებით შემოსა თავისი სახელი ბრძოლებში აღმოსავლეთის ფრონტზე, რომელიც 1919 წელს ანადგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მთავარი ფრონტი გახდა ადმირალ კოლჩაკის 160-ათასიანი არმიის წინააღმდეგ.

1919 წლის შემოდგომის დამდეგს დეგენერარული ჩაპაევი ტრაგიკულად დაილუპა. მაგრამ მამაცი გმირის ხსოვნა სამუდამოდ ცოცხლობს ხალხში. მისი სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სახელოვან მატიანეში, უკვდავყოფილია საბჭოთაეთის დიდ მონაპოვრებში, მის გრანდიოზულ მიღწევებში, კოდმეურნეობების, სკოლების, ქუჩების, ხომალდების სახელებში.

სახალხო გმირის პატივსაცემად ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოქის ისტორიის მუზეუმში მოვიდნენ ჭაღარა ვეტერანები და ახალგაზრდა ამიერკავკასიელი მეომრები, აგრეთვე თბილისის 128-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებიც, რომელსაც მუზეუმთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. გამოჩენილი წითელი მეთაურის იუბილეს დღეს ამ სკოლის საუკეთესო ოქტომბრელები აქ მიიღეს პიონერთა რიგებში და დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის პიონერული რაზმეულის ერთ-ერთ რაზმს ამიერიდან უფლება მიენიჭება ეწოდოს ვ. ი. ჩაპაევის სახელი.

(საკინფორმი).

(დასასრული მე-4 გვ.)

კონტროლის კრიტერიუმია საბოლოო შედეგი

(დასასრული)

ზ. მანიჟაშვილი. სრულიად სამართლიანად გამოუცხადეს სასტიკი საყვედური რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეს გ. ნაცვლიშვილსაც.

სახალხო კონტროლის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ყველა ხელმძღვანელი, ისევე როგორც იმათი უმრავლესობა, ვისაც ხალხმა მიანდო კონტროლიორობა — კომუნისტები არიან. და მათ დიდი უფლებები აქვთ, ზემდგომ პარტიულ ორგანოებში მიმართვის უფლებაც კი. სხვისი მოიმედოობის პოზიცია აქ განსაკუთრებით შეუწყნარებელია. გუშაგი სწორედ იმით არის გუშაგი, რომ დროზე იძლეოდეს სიგნალს.

სხვათა შორის, სიგნალი საქმიანობის მხოლოდ ერთი მხარეა. ამით შემოფარგლა ნიშნავს მუშაობის გარეგნული მხარით გატაცებას. ზოგჯერ სიგნალები საკმარისია, მაგრამ არ არის მთავარი — მათი გამომწვევი მიზეზების საგულდაგულო ანალიზი.

მაგალითად, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში შესრულებას წაუმატეს 30 მილიონ მანეთისაზე მეტი სასაქონლო და 25 მილიონ მანეთისაზე მეტი რეალიზებული პროდუქცია. დაისაჯა ბევრი ხელმძღვანელი, მათ შორის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ბოჭორიშვილი. ანალოგიური წამატებები აღმოჩნდა ამას წინათ თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაშიც. ანგარიშმგებლობის დამახინჯების ბევრი ფაქტი გამოავლინეს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებმა. მაგრამ განა საქმეს აადვილებს ის, რომ დარღვევები აღმოჩნდა მაშინ, როცა მათ დიდი მასშტაბი შეიძინეს? ჩანასახშივე შეამჩნიონ უყაირათობა, თვალისაბვეა, ხალხის სახელით მოუწოდონ წესრიგისათვის თავგასულ ხელმძღვანელებს — აი რა არის საზოგადოებრივი კონტროლის ამოცანა.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის, ადგილობრივი ორგანოების სხდომებზე ჯერ კიდევ საკმარისად არ განიხილავენ მეურნეობრიობის ახალ პირობებზე, სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე დარგებისა და საწარმოების გადაყვანასთან, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმების დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებს. და რაც მთავარია, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა იმას, რომ განისაზღვროს როგორია სახალხო კონტროლის საკუშაოებისა და ჯგუფების ადგილი შრომითი კოლექტივების თვითმმართველობის შემდგომ განვითარებაში. ამოცანა ის არის, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, რომ ცენტრშიც და ადგილებზეც მუდმივი მეთვალყურეობა დაიწესონ საწარმოებისა და გაერთიანებების, კოლეგიურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო და სამეურნეოსაფინანსო საქმიანობის ყველაზე მოწყვლად ადგილებს, უფრო აქტიური ზემოქმედება მოახდინონ ყველა პროცესზე.

რესპუბლიკის საშეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარეა წარმოების დაბალი კულტურა, შერყეული შრომის დისციპლინა. ჯერ კიდევ თავისუფლად გრძნობენ ზოგჯერ თავს დამრღვევები, ხოლო პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები, სახალხო კონტროლიორები ყოველთვის ჯეროვანი მომთხოვნელობით არ ეკიდებიან მათ. დიდია სამუშაო დროის დანაკარგები. მათ მესამეზე მეტი მოდის გაცდენებსა და დაგვიანებაზე. მაგალითად, სამტრედიის ხისდამამუშავებელ კომბინატში ამ მიზეზით შრომის დისციპლინის თითქმის ყოველმა დამრღვევემ საშუალოდ წლის მანძილზე 18-18 დღე გააცდინა. ასეთივე მდგომარეობაა გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში, საჩხერის ბამბის სართავ ფაბრიკაში.

მთელი სიმკაცრით აღიძრა სხდომაზე პროდუქციის ხარისხის პრობლემა, სადაც განსაკუთრებით საჭიროა ხალხის ფხიზელი თვალი. აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ვერ შესრულდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების ზრდის დავალებანი და ვალდებულებანი. ახლა, როცა მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნები ამ თვალსაზრისით და მთელ რიგ საწარმოებში შემოღებულია, პროდუქციის სახელმწიფო მიღება, სახალხო კონტროლიორები აქტიურად უნდა ჩაებან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობაში.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში სახალხო კონტროლიორთა გაქტიურების აუცილებლობასთან დაკავშირებული საკითხები. მოყვანილი იყო კონკრეტული მაგალითები, როცა ზოგიერთი ხელმძღვანელის უყაირათობისა და უსინდისობის გამო სახელმწიფოსა და ხალხს უდიდესი ზარალი ადგება, ხოლო ვიღაც მოურიდებლად ისქელებს ჯიბეს, სახალხო კონტროლის ორგანოები კი მოქმედებენ გაუბედავად, უპრინციპო პოზიცია უკავიათ.

უაღრესად საჭიროა გავაქტიუროთ სახოგადოებრივი კონტროლი სოციალურ სფეროში, სოციალურ საკითხთა გადაწყვეტაში. მთელ რიგ შემთხვევებში სახალხო კონტროლის ორგანოებს აქ სწორი პოზიცია უკავიათ, მწვავედ აყენებენ პრობლემებს. მაგრამ ხშირად ისინი იფარებენ ან მხოლოდ წვრილმანი, ზერელე დარღვევების გამოვლენით. არადა ეგზარობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, სამომხმარებლო კოოპერაციაში, სხვა სფეროებში სერიოზული ნაკლოვანებანი აშკარად ჩანს. და ისინი, რა თქმა უნდა, ნიადგ უნდა იყოს სახალხო „კონტროლიორთა ყურადღების ცენტრში. მაგრამ საიდუმლო არ არის, რომ ზოგჯერ თვით მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლები ეწევიან ფულის შეწირას, არაკეთილსინდისიერად იქცევიან, სხდომის მონაწილეებმა ხაზგასმით აღინიშნეს, რომ უაღრესად პრინციპული შეფასება უნდა მივცეთ ამგვარ ფაქტებს, გადაჭრით მოვიმოროთ თავიდან უპატიოსნო მუშაკები, გავშალოთ აქტიური, შეტევითი ბრძოლა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ. აღინიშნა, რომ აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თვით მაკონტროლებელ ორგანოებში სახალხო კონტროლის საჯაროობისა და ჯგუფების საქმიანობა.

ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც ნელა აღწევს თავს წარსულის ტვირთს, ელის, როგორ წარიმართება საქმე ან აშკარად ამუხრუჭებს მას, ითქვა სხდომაზე. და გადაჭრით უნდა დავრაზმოთ მათ წინააღმდეგ პატიოსანი ადამიანები, კეთილსინდისიერი მშრომელები, უწინარეს ყოვლისა ისინი, ვისაც ხალხმა მიანდო უფლება მისი სახელით აზორციელებდეს კონტროლს ყველგან.

სახალხო კონტროლიორები უნდა იყვნენ იმათ შორის, ვინც განსაზღვრავს ზნეობრივ ატმოსფეროს კოლექტივში, რაიონში, მთლიანად რესპუბლიკაში, თვალი უნდა ადევნონ იმას, თუ როგორ ასრულებენ ხელმძღვანელები მიცემულ დავალებებს, რამდენად შეესაბამება მათი საქმე სიტყვას, იდგნენ, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა მოითხოვა, რეალიზმის პოზიციებზე. საჭიროა, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, რომ ყოველი სახალხო კონტროლიორი ამართლებდეს თავის მაღალ დანიშნულებას, იძლეოდეს პრინციპულობისა და უკომპრომისობის მაგალითს. სოციალისტური დემოკრატიის პირობებში უნდა მტკიცდებოდეს კანონიერება და იმარჯვებდეს სამართლიანობა, მკვიდრდებოდეს ისეთი ატმოსფერო, რომელშიც შემოქმედებითა და ნაყოფიერად იშრომებს ყოველი ადამიანი.

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის გაფართოებული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. დ. მახარაშვილი.

(საქინფორმი).

ახალი წლიდან ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტიული ქარხანა შეუდგა ციტრუსოვანთა გადამუშავების ნარჩენებიდან მიღებული პრეპარატის — „პ“ ვიტამინის გამოშვებას. აპირებენ 50 ტონა ახალი სამკურნალო პრეპარატის დამზადებას. ქარხანაში მცენარეული ნედლეულისაგან აწარმოებენ ძვირფას წამლებს. მედიცინაში ფართოდ იყენებენ ისეთი მცენარეებისაგან დამზადებულ პრეპარატებს, როგორიც არის ალოე, კალანჭოე, ელეოტოროკოკი, ოორდასალამი და სხვ.

სურათზე: მეპარატე სოფიო ბასალაევა, რომელიც უშვებს ახალ პრეპარატს.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შეცდომის უფლება არავის არა აქვს

სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით საქართველოში შექმნილ ექსტრემალურ პირობებში დაზარალებული რაიონების სათბობით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფა დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ რესპუბლიკის ენერგეტიკოსებს. მათ ზუსტ, შეთანხმებულ მუშაობაზე დამოკიდებულია სტიქიის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაცია, სითბო და სინათლე ადამიანთა სახლებში, დანგრეული ობიექტების აღდგენა, ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ სათბობენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა გადაწყვეტის ოპერატიული ჯგუფის სხდომაზე.

რესპუბლიკის ენერგეტიკული კომპლექსისათვის მიყენებული ზარალი დიდია. მთებში ზვავების ჩამოწოლის გამო დაინგრა ელექტროგადამცემი ხაზები, წყალმა წაიღო საშენი მასალები და სატრანსპორტო საშუალებები — ამწეები, ექსკავატორები, ბულდოზერები. მდგომარეობას ართულებს თოვლის ნამქერები და მიწყერები გზებზე. მთელ რიგ ადგილებში წალკოტი ან დანგრეულია ხიდები.

ქართველ ენერგეტიკოსებს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ შესწევთ საგანგებო სიტუაციებში მუშაობის უნარი, აღინიშნა სხდომაზე. ამჯერადაც თავს ირთმევენ ისინი რთულ ამოცანებს. უკვე ბევრი რამ გაკეთდა, მოხერხდა ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენა ყველგან, მესტიის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონების გარდა. ამავე რაიონებში ელექტროენერგიის გამომუშავებისათვის ამოქმედდა იქ სპეციალურად მიტანილი დიზელის დანადგარები. ნორმალიზებულია დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი ჰიდროსადგურების, მათ შორის რიონის, გუმათის, ვარციხის, ლაჯანურის სადგურების მუშაობა.

სტიქიით დანგრეულს რომ აღადგენენ, ენერგეტიკოსები ამავე დროს მაქსიმალურად უნდა მოემზადონ გაზაფხულის წყალდიდობისათვის, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე. თოვლის დნობას გარდაუვალად მოჰყვება მდინარეების ადიდება. ამასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს ქინვალისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების „ქცევის“ მოდელირება, რომელთა წყალსაცავები შეიძლება აივსოს. ყოველი შეცდომა, ყოველი ხარვეზი პროგნოზში, არათუ უკვალოდ არ ჩაივლის, შეიძლება მძიმე შეუქცევადი შედეგებიც კი გამოიწვიოს.

სხდომაზე გააანალიზეს აგრეთვე რესპუბლიკის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის გაზით მომარაგების მდგომარეობა. აღინიშნა, რომ გაზით მომარაგებაში შეფერხებები არ არის. მთლიანად უზრუნველყოფილი არიან გათხევადებული გაზით მთის რეგიონების მცხოვრებნიც, მათ შორის სტქიური უბედურებით დაზარალებული რაიონებისაც.

ოპერატიული ჯგუფის სხდომამ შეიმუშავა ელექტროენერგიით, სათბობით, თბოენერგიით რესპუბლიკის საჭიროებათა სტაბილური და შეუფერხებელი უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

ფარსული, რომელიც მომავალს ემსახურება

კაპიტალური ნაშრომი საქართველოს კომპარტიის სახელოვანი ისტორიის შესახებ

საქუთარი 'ისტორიისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას ვ. ი. ლენინი ყოველი პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთ აუცილებელ თვისებად მიიჩნევდა. განვლილი გზის მეცნიერული ანალიზისა და გამოცდილების განზოგადების გარეშე, გვასწავლიდა იგი, შეუძლებელია თანამედროვე ვითარების სწორად შეფასება და მომავლის პერსპექტივების დასახვა.

დიდი ბელადის ამ ფუძემდებლური მითითების შესაბამისად კომუნისტური პარტია თავისი ისტორიის მეცნიერულ დამუშავებას ყოველთვის სათანადო ყურადღებას უთმობდა და უთმობს. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა სკკპ ისტორიის მრავალტომეული, რომელიც ამჟამად გამოიცემა და ისტორიული პარტიული მეცნიერების განვითარების ახალ ეტაპს ქმნის.

სკკპ ისტორიის მრავალტომეულის გამოცემის პროცესში ადგილობრივი პარტორგანიზაციების ისტორიის მეცნიერული დამუშავების ამოცანაც დაისვა. ჩვენში ეს საქმე დაეკისრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალს, რომელიც ამ ბოლო წლებში ისტორიულ-პარტიული მეცნიერების ერთ-ერთ აღიარებულ ცენტრად იქცა.

ინსტიტუტის კოლექტივმა სამ ნაწილად გამოსცა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, რომელიც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის მეცნიერული დამუშავებისა და სისტემატური გადმოცემის პირველი ცდაა. ეს ფუნდამენტური ნაშრომი ინსტიტუტის მაღალკვალიფიციური კოლექტივის მრავალწლიანი მუშაობის შედეგებს აჯამებს და რესპუბლიკაში ისტორიულ-პარტიული მეცნიერების შემდგომი განვითარების პერსპექტივებს სახავს.

„ნარკვევების“ პირველ ტომში — „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში (1883-1921 წწ.)“ — ღრმად არის გაანალიზებული ის „განსაკუთრებული“ ობიექტური მიზეზები, რომლებმაც, ვ. ი. ლენინის თქმით, საქართველოში „ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების“ შექმნა განაპირობა.

„ნარკვევებში“ კარგად არის ნაჩვენები, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ვ. ი. ლენინს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრაქტიკული განხორციელების ნიმუშად მიაჩნდა.

პირველი ტომის ავტორები საბჭოთა ისტორიოგრაფიის უპირველესად ისტორიულ-პარტიული მეცნიერების უახლეს მიღწევათა საფუძველზე, აგრეთვე საკუთარი მეცნიერული კვლევის შედეგად აყენებენ და სათანადო ფაქტებით ასაბუთებენ მთელ რიგ ახალ დასკვნებსა და დებულებებს.

იგივე ითქმის „ნარკვევების“ მეორე ტომზეც — „სოციალისტური საზოგადოების აშენებისა და განვითარებისათვის ბრძოლაში (1921-1970 წწ.)“. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ეს ნახევარსაუკუნოვანი მონაკვეთი გაშუქებულია მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და თეორიულ დონეზე, სათანადო ფაქტებისა და მოვლენების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე.

„ნარკვევები“ გვერდს არ უვლის შეცდომებსა და დამახინჯებებს, რომლებიც იყო სოციალისტური მშენებლობის ამ ეტაპზე. კერძოდ, ლაპარაკია უკანონო რეპრესიებზე მთელი რიგი გამოჩენილი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მიმართ.

„ნარკვევების“ მეორე ტომის VI თავი ეძღვნება საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობას დიდი სამამულო ომის პერიოდში. აქ მკაფიოდ არის ნაჩვენები რესპუბლიკის მშრომელთა ჭეშმარიტი გმირობა ფრონტზე და ზურგში, საქართველოს კომუნისტური პარტიის დიდი ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის, ვერაგ მტერზე გამარჯვების სამსახურში რესპუბლიკის მთელი მატერიალური და სულიერი რესურსების ჩაყენებისათვის.

„ნარკვევების“ მეორე ტომის უკანასკნელ, VII, VIII და IX თავებში მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე გადმოცემულია საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობა 1945-1970 წლებში. როცა საბჭოთა ხალხის წინაშე დაისვა ომით დაზარალებული სოციალისტური სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების პრობლემები, რომელთა გადაჭრა არანაკლებ გმირობას და თავდადებას მოითხოვდა. ომისშემდგომი ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის შრომელთა დარაზმვა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობის უზრუნველყოფა, პიროვნების კულტის მავნე შედეგების ლიკვიდაცია, სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის დაძლევა, პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების განმტკიცება, იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ახალ საფეხურზე აყვანა — ასეთი იყო ამ პერიოდში საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობის ძირითადი შინაარსი და შედეგები.

მაგრამ ამ ისტორიული პერიოდის უკანასკნელ მონაკვეთზე თავი ჩრნა ნეგატიურმა მოვლენებმა, რომლებიც თანდათან ძლიერდებოდა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაზე სულ უფრო უარყოფით გავლენას ახდენდა.

ამიტომაც „ნარკვევების“ მესამე ნაწილში კარგად არის ნაჩვენები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის ისტორიული დადგენილებისა და სხვა მომდევნო დირექტივების გადამწყვეტი მნიშვნელობა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობის ძირეული გარდაქმნა-განახლებისათვის. სწორედ ამ დადგენილებებმა ცხადყო 70-იანი წლების ფსევდოყისიანსათვის რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ვითარების ძირითადი მიზეზები და დასახა მათი დაძლევის რეალური პროგრამა.

„ნარკვევებში“ ნაჩვენებია, რომ რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ ენერგიულად მოკიდა ხელი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას. ხაზგასმულია, რომ მთელ ამ მუშაობას საფუძველად ედო სკკპ XXIV, XXV, XXVI ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებები.

მესამე ტომის ბოლო თავი მთლიანად ეძღვნება საქართველოს კომუნისტური პარტიის საქმიანობას სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ნაჩვენებია, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის გრანდიოზულმა ამოცანებმა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვა მათი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შემდგომი ამაღლება, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, წინა წლებში დასახული პოზიტიური ძვრების გაღრმავება-განვითარება. პარტიის საგარეჯოვო მითითებათა შესაბამისად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა ცხადყო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის, მთელი ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და მართვის სისტემის გაუმჯობესებისათვის, ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენებისა და ტენდენციების მთლიანად და საბოლოოდ დაძლევისათვის. ამ გზაზრდილ მოთხოვნათა სწორმა გაგებამ და შესაბამისი მუშაობის გაჩაღებამ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს და მშრომელებს საშუალება მისცა წარმატებით შეესრულებინათ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებები და ღირსეულად შეხვედროდნენ პარტიის XXVII ყრილობას, რომელმაც საბჭოთა ქვეყანას ახალი, კიდევ უფრო გრანდიოზული პერსპექტივები დაუსახა.

უნდა ითქვას, რომ ავტორები გვერდს არ უვლიან რესპუბლიკის ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. ასე, მაგალითად, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტების ბრძოლის შეფასებისას ავტორები მიუთითებენ, რომ „...დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ამომწურავ ზომებს ყველგან და ყველა უბანზე რიდი იღებდნენ. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში არ იგრძნობოდა იმ დანაშაულებრივ გამოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის შეტევითობა, რომლებიც ზიანს აყენებდნენ სახელმწიფოს, დიდ საფრთხეს უქმნიდნენ მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებას. ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი იმისათვის, რომ აღმოიფხვრას კერძოსაკუთრული ტენდენციები, მექრთამეობა, თვალის აბვევა, სოციალისტური კანონიერების სხვა დარღვევანი“ („ნარკვევები“, ნაწილი მესამე, გვ. 354).

საოცენზიო ნაშრომის დადებითს მხარეებსა და ღირსებებზე კიდევ საკმაოდ შეიძლება საუბარი, მაგრამ ახლა გვსურს მის ნაკლოვანებებსა და ხარვეზებსაც შევეხოთ. მესამე ნაწილის სატიტულო ფურცელს ქვესათაურის შემდეგ აწერია „1971-1985 წწ“. მაგრამ მასში არ არის გაანალიზებული 1985 წელს პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა და მისი შედეგები. თუმცა ამის ჩვენება შეუძლებელიც იყო, რადგან წიგნი წარმოებაში ჩაშვებულია იმავე წლის მარტში, ხოლო დასაბეჭდად ხელმოწერილია აგვისტოში.

ნაკლად მიგვაჩნია ისიც, რომ „ნარკვევებში“ მკრთალად არის წარმოჩენილი სახალხო (წინათ მშრომელთა) დეპუტატების საბჭოებისა და პროფკავშირებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისათვის გაწეული მუშაობა.

კარგი იქნებოდა, „ნარკვევების“ ავტორებს ყურადღება მიექციათ და უფრო ვრცლად გაეშუქებინათ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და ჩვენი პარტიის სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხი, მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით ნაყოფიერი პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა.

როგორც ცნობილია, ომისშემდგომი ხანა ახალი ეტაპია საბჭოთა ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა ნარკვევების მესამე ნაწილი აქედან დაწყებულიყო.

„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ სამტომეულის გამოცემა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა რესპუბლიკის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ავტორთა კოლექტივს და სარედაქციო კოლეგიას მთლიანობაში წარმატებით გაურთმევია თავი დაკისრებული პასუხსაგები ამოცანისათვის. ამ კაპიტალურ ნაშრომს სერიოზული წვლილი შეაქვს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. იგი ისტორიულ-პარტიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზეა შექმნილი და ლენინური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი რაზმის მთელი ისტორიული გამოცდილების განზოგადებას წარმოადგენს. დარწმუნებული ვართ, რომ ნაშრომი მკითხველთა ფართო წრეების ცხოველ ინტერესს გამოიწვევს და რესპუბლიკის კომუნისტებს და მშრომელებს დიდ სამსახურს გაუწევს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ა. სურგულაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი,

გ. ფირცხალავა,
საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

მნიშვნელოვანი წვლილი თხევადი კრისტალების ფიზიკაში

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე მოითხოვს ისეთი ნივთიერებების, მასალებისა და სისტემების მიღებას, შესწავლასა და გამოყენებას, რომელნიც შექცევადად იცვლიან თვისებებს გარე ზემოქმედებითი დროის მცირე მონაკვეთში. ახალი თაობის გამოთვლითი სისტემებისა და სხვადასხვაგვარი მოწყობილობის მიკრომინიატურიზაციის მიზნით აუცილებელია ასეთი სისტემების თვისებათა და პარამეტრების მართვის უზრუნველყოფა მცირეენერგეტიკული ზემოქმედების გავლენით. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა თხევადი კრისტალები — სითხეებისა და კრისტალების განუმეორებელი ერთობლიობა, რაც განსაზღვრავს მათ უნიკალურ თვისებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თხევადი კრისტალების თხელ ფენებში ერთეული ვოლტი ძაბვის ზემოქმედებით შეგვიძლია ვმართოთ სინათლის ნაკადის ინტენსიურობა, ფერი და სხვა მახასიათებელები. ამან განაპირობა თხევადი კრისტალისა და მცირეძაბვიანი ინტეგრალური სქემების ხელსაყრელი შეთავსებადობა ბ ა, რის გამოც თხევადკრისტალურმა მოწყობილობებმა რეკორდულად მცირე დროში წამყვანი პოზიცია დაიმკვიდრა ინდიკატორულ ტექნიკაში. ცნება თხევადი კრისტალებისა ახლა ალბათ ბევრს არ ეუცხოება. მათ ფართოდ იყენებენ ელექტრონული საათების, კალკულატორებისა და სხვა ელექტრონული ბრტყელი ეკრანების დასამზადებლად.

სახალხო მეურნეობის ავტომატიზაცია მოითხოვს შეიქმნას ახალი ტიპის ინფორმაციის დამმუშავებელი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიმდინარე პროცესების უწყვეტად მართვას. ამისათვის აუცილებელია გაიზარდოს ინდიკატორულ მოწყობილობათა სწრაფქმედება და ფუნქციური შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით მეტად პერსპექტიულია სპირალურსტრუქტურიანი თხევადი კრისტალები. ასეთი სტრუქტურა შეიძლება შევადაროთ გარე ზემოქმედებისადმი ძლიერ მგრძნობიარე ზამბარას, რომლის „დაგრძელება“ ან „დამოკლება“ განაპირობებს ისეთ უნიკალურ ოპტიკურ თვისებებს, როგორიცაა ფერების გარჩევის უნარი და ინფორმაციის დამახსოვრება.

სპირალური სტრუქტურის მქონე თხევად კრისტალებს შეიძლება მიენიჭოს სეგნეტოელექტრული თვისება (ჩვეულებრივ იგი მხოლოდ მყარი კრისტალებისთვისაა დამახასიათებელი), რამაც განაპირობა სწრაფმოქმედების ათასჯერ გაზრდა. ეს შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას სრულიად ახალი ტიპის მოწყობილობები, მაგალითად, მცირე ძაბვაზე მომუშავე ბრტყელი ფერადი ტელევიზორები.

სპირალური სტრუქტურის მქონე თხევადი კრისტალების შექმნასა და გამოკვლევას ეძღვნება მეცნიერთა კოლექტივის შრომების ციკლი, რომელიც მოიცავს ერთ მონოგრაფიასა და 34 სამეცნიერო ნაშრომს. იგი ასახავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში 10 წლის ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს. ნაჩვენებია, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი ტიპის თხევად კრისტალს, ძირითადი თვისებების შეუცვლელად, შეიძლება მიენიჭოს სპირალური სტრუქტურა. მკვლევარებმა დაასაბუთეს სხვადასხვა აღნაგობისა და ქიმიური ბუნების ასამდე ოპტიკურად აქტიური ნივთიერება, რომელთა საფუძველზეც შექმნილია წინასწარგამიზნული თერმო და ელექტროოპტიკური თვისებების მქონე სპირალურ სტრუქტურიანი თხევადი კრისტალები. ასეთ სისტემებს ახასიათებთ სინათლის სელექტური არეკვლის უნარი ინფრაწითელ, ხილულ და ახლო ულტრაიისფერ უბანში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის „ინდუცირებული სპირალობის მქონე თხევადი კრისტალები ინფორმაციის ასახვის სისტემებისათვის“ ავტორებმა გ. ჭილაიამ, ს. არონიშიძემ, ზ. ელამვილმა, კ. ვინოკურმა, დ. სიხარულიძემ, კ. ჯაფარიძემ შეესწავლეს თხევად კრისტალებში სპირალური სტრუქტურის ინდუცირების მექანიზმი და დაადგინეს სპირალური სტრუქტურის წარმოქმნის ხელშემწყობი ფაქტორები. ტემპერატურისა და გარე ველების ზემოქმედების ხასიათის ანალიზის, აგრეთვე შემადგენელ ნაერთთა ქიმიური ბუნებისა და ფაზური გადასვლების წინამსწრები მოვლენების შესწავლის საფუძველზე ზემოლეკულური სტრუქტურის ქცევის კანონზომიერებათა დადგენამ მათ საშუალება მისცა სპირალური სტრუქტურის წარმოქმნა აღეწერათ ერთიანი თეორიული მოდელის ჩარჩოში. მიღებულია სპირალური სტრუქტურის მქონე სეგნეტოელექტრული თხევადი კრისტალი, რომელიც დღეისათვის საუკეთესო ელექტროოპტიკური თვისებებით გამოირჩევა. ახალი ინდუცირებული სპირალობის მქონე თხევადკრისტალური სისტემების შესაქმნელად შესრულ ებ ულ კვლევა ფართო პერსპექტივებს სახავს მათ გამოსაყენებლად თერმოგრაფიაში, ელექტროოპტიკაში, მასალათა პარამეტრების ოპტიმიზაციისა და ინფორმაციის ასახვის სხვადასხვაგვარ მოწყობილობებში.

საინტერესოა ავტორთა მიღწევები ახალ ელექტროოპტიკურ მოწყობილობათა შექმნაში, რომელთაც საფუძვლად უდევს მათ მიერ მიღებული სპირალური სტრუქტურის მქონე თხევად კრისტალებში დამზერილი ახალი ეფექტი—ქოლესტიროულ-ნემატური გადასვლა „მეხსიერებით“. შექმნილია ოპტიკური სისტემების ინფორმაციის დამუშავების საკვანძო ელემენტი — გამოსახულების ახალი ტიპის გარდამქმნელი: ლითონი-დიელექტრიკი-ნახევრად გამტარი თხევადი კრისტალი. გარდამქმნელის მოქმედების ახალმა პრინციპმა საშუალება მისცა ავტორებს ამ ტიპის ხელსაწყოებში პირველად გამოეყენებინათ მიკროელექტრონიკის ძირითადი მასალა — სილიციუმი. ამით გადაიჭრა უხალავი ინფორაწითელი გამოსახულების გარდაქმნისა და მისი დამუშავების პრობლემა. ეს სისტემა ლეგისათვის ყველაზე სწრაფმოქმედია. მისი მუშაობის პრინციპი და კონსტრუქცია საფუძვლად დაედო ამი ეპის კლასის მოწყობილობებს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. სისტემამ სწრაფფოტქმედებისა და ინფორმაციის ლაზერული სხივით ასახვის უნარის გამო შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ჰოლოგრაფიული პრინციპზე აგებული ინფორმაციის გამოცნობისა და დამუშავების მოწყობილობები.

ქართველ მეცნიერთა ნაშრომები ფართოდაა ცნობილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. პრაქტიკული ღირებულების შედეგები პრიორიტეტული ხასიათისაა და დაცულია საავტორო მოწმობებით. ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგების აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო კონფერენცია თხევად კრისტალებში პირველად საბჭოთა კავშირში ჩატარდა, თბილისში.

სპირალურ სტრუქტურიანი თხევადკრისტალების კვლევა დღეისათვის დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყ

რუსული პოეზიის მზე

„კავკასიონი ჩემს წინაა, მაღლიდან მარტო დავცქერი მუქიწვარს ნაკრალების ნაპირთან მდგარი...“

ქართველს სერგით და კავკასიონის მთებით მიაბიჯებდა პუშკინი თავისი შემოქმედების ახალი მწვერვალებისაკენ, სინათლის, სიღრმისა და ხალხურობის მწვერვალებისაკენ.

ეროვნული ლიტერატურა და ეროვნული ხელოვნება ყოველთვის დემოკრატიულია. და მაინც, რუსული კლასიკის დემოკრატიული ტრადიციები, მისი უწყვეტი კავშირი ხალხის იდეალებთან და ოცნებებთან, სიმართლისა და სამართლიანობის ძიებაში მისი გამბედაობა და ვაჟკაცობა თავისებური ფენომენია. ალბათ, აქედან მომდინარეობს ჩვენი საერთო გრძნობა, ჩვენი საერთო რწმენა იმისა, რომ ახლანდელი პუშკინის დღეები სიმბოლურად დამთავრდა ჩვენს ქვეყანაში ძირფესვიან, მე ვიტყოდი, რევოლუციურ-დემოკრატიულ გზრდაქმნებს.

ლერმონტოვი და გოგოლი, ტოლსტოი და დოსტოევსკი, ჩეხოვი და გორკი, მთელი კლასიკური რუსული ლიტერატურა ჩვენი მძლავრი მოკავშირეა ამ გაბაღლებაში. ისევე, როგორც ისტორიის ყველა მკვეთრ მოსახვევში და უღელტეხილზე, დღეს იგი თავისებურად ეხმიანება ეპოქის სუნთქვას. და ჩვენ მადლიერებით გვახსენდება, რომ ამ ლიტერატურის ხალხურობისა და დემოკრატიულობის სათავესთან, თვით ენის დემოკრატიზაციით დაწყებული, ალექსანდრე სერგის ძე პუშკინის უდიდესი გენია იდგა.

სწორედ პუშკინიდან, სწორედ პუშკინში იღება სათავეს დიადი და წყალუხვი ლიტერატურული მდინარე, რომელიც რუსეთის მიწა-წყლის უკიდეგანო სივრცეებს მოედო, შემდეგ კი მთელ ევროპლიზებულ კაცობრიობასაც შეეხო იმით, რასაც ისტორიკოსები და მეცნიერები ლიტერატურულ გავლენას უწოდებენ და რაც საქმით მილიონობით ადამიანისათვის ზეშთაგონება და წმინდაგამოცხადება იყო.

დიადი ტრადიციების განგრძობის რკინის ლოგიკამ საბჭოთა ლიტერატურა ჩვენი საზოგადოების გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის ეპოქალური საქმის სისხლხორცეულად დაინტერესებული მონაწილე გახადა.

ყამთა სვლის მანძილზე, სულ ახალი და ახალი დოკუმენტების აღმოჩენის კვალობაზე ნათელი ეფინება პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრ ფაქტსა და გარემოებას. მაგრამ... ამავე ყამთა სვლის მანძილზე კიდევ უფრო აუხსნელი რჩება პუშკინის გენიის ბუნების საიდუმლოება. პუშკინი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი სასწაულია.

ამბობენ, ყველას თავისი პუშკინი ჰყავსო: მე, თქვენ, სხვებს, და თუმცა დღემდე ვერავის აუხსნია, რით, რა თავისებურებით გამოირჩევა მისი პუშკინი... ესეც პუშკინის საიდუმლოებაა.

უფრო მეტიც, თავისი პუშკინი ჰყავს არა მარტო ყოველ ცალკეულ ადამიანს, არამედ მთელ ხალხებსაც. მათ შორის არიან ქართველებიც.

პუშკინი და კავკასია, პუშკინი და საქართველო — ეს თავისთავად პოეზიაა, თავისთავად სიმღერაა, ესეც ერთ-ერთი პუშკინისეული საიდუმლოებაა. გახსოვთ: „...მე ისინი მაგონებენ სხვა ცხოვრებას და შორ კიდეს“.

იხსენებდა რა თბილისში პუშკინის ყოფნას, მისი თანალეკეუმელი ამხანაგი წერდა: „როგორც კი პუშკინი გამოჩნდა, ყველანი გარს შემოერტყნენ „ვაშას“ ძახილით“. და შემდეგ მოჰყავს ერთ-ერთ შეხვედრაზე ნათქვამი პოეტის სიტყვები: „მე არ მახსოვს დღე, როცა ახლანდელზე მხიარული ვყოფილიყავი, მე ვხედავ, როგორ ვუყვარვარ, როგორ ესმით ჩემი და მაფასებენ და ეს ბედნიერებას მანიჭებს“.

ეტყობა, აქ, ნაპოლეონთან ომის მონაწილე ქართველებთან შეხვედრისას იშვა სიტყვები, რომლებიც შემდეგ პოეტს „არზრუმის მოგზაურობაში“ ჩაუწერია: „ქართველები მეომარი ხალხია. მათ თავიანთი ,მამაცობა დაამტკიცეს ჩვენი დროშების ქვეშ“.

ილიას „ივერია“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს წერდა: „ჩვენთვის, კავკასიელებისათვის, კერძოდ ქართველებისათვის პუშკინს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს... უკანასკნელი 70 წლის მანძილზე ჩვენში არ ყოფილა არც ერთი თაობა, რომელიც პუშკინის შემოქმედებას არ გაეტაცოს“.

ეროვნული ლიტერატურული ენა ... ეროვნული ... ...

სტიქიის პირისპირ

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, საქართველოს ბევრ რაიონს სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. ძლიერ თოვას კოკისპირული წვიმები მოჰყვა. მთაში ზვავებმა გადათელა საცხოვრებელი სახლები, ელექტროგადამცემი ხაზებისა და კავშირგაბმულობის საყრდენები, ჩაკეტა გზები. 260-ზე მეტი ზვავი ჩამოწვა საქართველოს სამხედრო გზაზე. ოთხი დღე-ღამის განმავლობაში ექვსი თვის ნალექების ნორმა მოვიდა.

ორასი კვადრატული კილომეტრი წყალქვეშ აღმოჩნდა. წყაილეკა სოფლები, ფერმები, მინდვრები და ბაღები. არის მსხვერპლიც. ხალხი შეერყინა სტიქიას, მის შემოტევას ვაჟკაცობა, შეუპოვრობა და პროფესიული ოსტატობა დაუპირისპირა, მაგრამ იგი უკან არ იხევს..

დილადან წვიმს. ეკიპაჟთან ერთად გუბეებში მივაბიჯებთ მი-8 ვერტმფრინავისაკენ. მეთაურმა ედუარდ ხალატოვმა მანქანა ააფრინა და წყალდიდობის რაიონს მივაშურეთ. ერთი საათით ადრე მთაში ასვლა გვინდოდა, მაგრამ კედლად აღმართული ჯანღი ვერ გავარღვიეთ. იძულებული გავხდით დაგბრუნებულიყავით. სინოპტიკოსები დაგვპირდნენ, ნაშუადღევს მთაში გამოიდარებსო.

თებერვლის დამდეგისათვის უჩვეულოა გადამწყვანებული ველები. მაგრამ აი, ჩვენ ქვეშ მოჩანს ხასხასა მინდვრები და ამ ულიმლამო წვიმიან დღესაც კი თვალს აბარებს. მაგრამ ეს რა არის? მცენარეულის ნაცვლად ყანგაინი მკვდარი მიწა. ასეთი რამ მინახავს, როცა დასავლეთ ციმბირის ჭაობებს გადავფიფრენდი ხოლმე. მაგრამ აქ ხომ ყანები იყო, ახლ, წყალდიდობის შემდეგ, ყველაფერი შლამს დაუფარავს. ძირფესვიანად მოთბრილი ხეები, ფიცრები, ნაგავი... ჭალადიდს მივუახლოვდით. მშრალ ადგილას დავჯექით. სახლება წყალს დაუტბორავს. ბევრი მათგანი დანგრეულა. ფანჯრებთან ტელევიზორი და ბავშვის თოჯინა ტივტივებს. ხალხი არ ჩანს — ყველანი გაუხიზნიათ. ერთ ცოდა კუნძულზე სასწაულით გადარჩენილი გოჭები ღრუტუნებენ. იქვე კი მოუწველავი, მშიერი ძროხები ზმოუან, სახლს გასცქერიან და პატრონს უხმობენ.

რგოლის მეთაური იუზა ფრუიძე გვიამბობს:

— ამობოჭრებულმა რიონმა გვერდითი ჯებირი გაარღვია და ნიაღვარი სოფლებისაკენ, ქარხნებისა და მინდვრებისაკენ დაიძრა. მკვეთრად აიწია სხვა მდინარეების — ძირულის, ყვირილის, ტეხურის და ცხენისწყლის დონემ. ეს ღამით მოხდა. დილით ვერტმფრინავები გაფრინდნენ ხალხის საშველად. ჰაერში გადმოკიდებულით ამოჰყავდათ ხეებზე აცოცებული, სახლების სახურავებზე ასული ადამიანები, წყალში ჩარჩენილები. თვალი მოვკარით წაქცეულ ხეს, რომელსაც სადაცაა, წყალი წაიღებდა. ზედ შვიდი ქალი იყო. თოკებით ამოვიყვანეთ სათითაოდ. ერთი ბებია ისე ჩაფრენოდა ტოტს, ძლივს მოვგლიჯეთ...

საღამოს სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ მთავრობის კომისიის სხდომაზე დღის შედეგებს აჯამებდნენ. მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქმეყნის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ვსევოლოდ სერაპინის ძე მურახოვსკი მეთაურობს. აი, რა უამბო მან „პრავდის“ კორესპონდენტს:

— რიონში 10-12-ჯერ გაიზარდა წყალუხვობა. გამოინგარიშების მიხედვით, მაქსიმუმის დროს წამში 3500 კუბური მეტრი წყალი უნდა მოჰქნდეს, სინამდვილეში ოთხი ათასს გადააჭარბა. ასეთ რამეს ვერასოდეს ვერავინ წარმოიდგენდა. მიუხედავად ამისა, ჰიდროსადგურებმა გაუძლო ასეთ გამოცდას, კაპიტალური ხიდებიც არ დანგრეულა. ხალხი ვაჟკაცურად და საზრიანად იქცეოდა. პარტიის რაიკომები და სასოფლო საბჭოები მწყობრად მოქმედებდნენ. არ შეძძლია არ აღვნიშნო ავიატორთა ვაჟკაცობა. მათ ექსტრემალურ პირობებში უხდებათ მუშაობა. გაჰყავთ ხალხი, შემოაქვთ სათბობი და სანოვაგე. მთაში ფრენა ძნელია — დიდ პროფესიულ ოსტატობას მოითხოვს. ჰოდა, მფრინავებმაც გამოიჩინეს ასეთი ოსტატობა. ამიტომ არის, რომ ადგილობრივი მკვიდრნი დიდად მადლიერი არიან სამოკალაქო ავიაციის მფრინავების და ამიერკავკასიელი მეთბრებისა.

დაზარალებულთ სახელმწიფო ეხმარება. „ცენტროსოიუზს“ საშენი მასალები შემოაქვს გასაყიდად; ეს არის ხე-ტყე, მინა, ცემენტი, შიფერი, პირუტყვის კომბინირებული საკვები. ორგანიზებულად და ოპერატიულად მუშაობენ. მწყობრად მოქმედებენ შტაბები, მაგალითად, სამ ადგილას რკინიგზა დაზიანდა. სწრაფად აღადგინეს. მართალია, დროებითი სქემით, მაგრამ მატარებლები უკვე მიმოდიან. ამას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ჰიათურაში სამი მაღარო წყდება. მეორე დღეს ორი უკვე მუშაობდა. ფეროშენადნობთა ქარხანა მადანს იღებს. ხალხი მუშაობს, მაგრამ უბედურება ჯერ არ დამთავრებულა...

ვიყავი ზესტაფონში. „საქკაბელის“ ქარხნის საამქროებში მეტრამდე შლამია. ხალხი სამ ცვლად მუშაობს. მათთვის ორგანიზებულია უფასო კვება. დახმარებას იღებენ მოსკოვის, დონეცკის, პოდოლსკის საწარმოებიდან. მოწყობილობის ნახევარზე მეტი უკვე მოქმედებს. ამ დღეებში „საქკაბელი“ კვლავ ამუშავდება...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი:

— რესპუბლიკის წინაშე დიდი პრობლემები წამოიჭრა. საგანგებოდ მინდა ვთქვა, რომ ჩვენს უბედურებას მთელი ქვეყანა გამოეხმაურა. ყველას ბევრი საქმე აქვს, მაგრამ ოლქი და რესპუბლიკა არ არის, ჩვენი დახმარების სურვილი რომ არ გამოეთქვა. აი, მოსკოველი, ლიპეცკელი, ლენინგრადელი და სხვაქალაქელი ექიმების დეპეშები — თუ საჭიროა, ახლავე ჩამოვფრინდებითო. დაზარალებულთ ფულს უგზავნიან. ამ დიდმა უბედურებამ ,,ერთხელ დაგვანახვა ჩვენი ხალხის ერთიანობა. მცხოვრებნი მადლობას უხდიან პარტიასა და ჩვენი ქვეყნის მთავრობას დახმარებისა და ყურადღებისათვის. რას იზამ, უნდა გავუძლოთ, მაგრამ ზარალი დიდია...

რიონის ხეობაში მივფრინავთ. კალმთ აუწერელია ამ მთების სილამაზე. დათოვლილი ცადაწვდილი ნაძვები, ფირუზისფერი მდინარეები. მაგრამ თითქმის ყველა მთას აჩნია დაქანებული ზვავების კვალი. რამდენი უბედურება მოჰყვა ამ დიდთოვლობას, როგორიც მოხუც სვანებსაც კი არ ახსოვთ. აბა, სვანებზე უკეთ ვის შეუძლია, ისეთი ადგილის მონახვა, ზვავის მხრივ საშიში რომ არ იყოს. საუკუნეებით იდგა ეს სოფლები, და უეცრად ზვავები მოვარდა. გასაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მესტიის რაიონში. უშგულში 42 სახლიდან სულ ოთხი გადარჩა. სოფელ ჟამუშში ზვავმა 14 სახლი გაიტანა, 26 კაცი დაიღუპა.

ვერტმფრინავის სალონში აწყვია ფქვილით სავსე ტომრები, ფოსტა, მედიკამენტები. მთა სულ ახლახან „გაიხსნა“ და ამ დერეფანს მიაშურეს ვერტმფრინავებმა ხალხის გამოსახიზნად. აი რაიონული ცენტრი მესტიაც. სახლები ლამის სახურავებამდე ჩაფლულა თოვლში. ტელეგრაფის ბოძებს მარტო კენწეროები მოუჩანთ, სადენები დაწყვეტილია. თოვლის ბუჭი დავაყენეთ დაჯდომისას. დიდძალი ხალხია. ზოგს ჩემოდანი უჭირავს, ზოგს — მარტო ჩანთა. ბევრს აღარც ნათესავ-ახლობლები ჰყავს და აღარც სახლი აქვს. შეძრწუნდები, როცა ხედავ ამ გულმოკლულ ადამიანებს, ატირებულ ვაჟკაცებს.

ვიქტორ ნავერიანი ოცდაათი წლისაა. იმ საბედისწერო დღეს ყველანი შინ იყვნენ. ჟამუშელმა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ვიქტორმა გადაწყვიტა სახურავზე ასულიყო თოვლის ჩამოსახვეტად, სანამ სკოლაში წავიდოდა. სარდაფთან მივიდა ნიჩბის გამოსატანად. უეცრად მის თვალწინ ძალი შეევარდა კარში, შემდეგ უკნიდან რაღაც დაეტაკა. მოესმა, როგორ იყვირეს ზემოთ ბავშვებმა. გამოფხიზლდა—წყვდიადი. ირგვლივ თოვლია. და სიჩუმე. შემზარავი, ნერვების დამწყვეტი სიჩუმე. ხელით დაიწყო თოვლის თხრა, დეიდა ლინას მიაგნო, სარდაფში ქურთუკზე დაავწიეთ.

— მცივა, ციცხლი აანთე, — სთხოვა დაშავებულმა ქალმა. მაგრამ ასანთი დანესტიანებულიყო. ამ დროს კავკასიური ნაგაზი ჯუნგლი მივიდა ქალთან, მიუწვა რომ გაეთბო...

ვიქტორი ოთხი საათის შემდეგ ამოთხარეს რაიცენტრიდან მოფრენილმა მაშველებმა. მერე თვითონ დაიწყო შვილებისა და ცოლის — ნაზის ძებნა. ამოთხარა, ვაი, უბედურებაც, ოთხი წლის მკვდარ გოგონასთან ერთად. მერე კიდევ გოგონა და ორი ვაჟი — რვა, შვიდი და ცხრა წლისა. მეზობელ სახლში დაიღუპნენ მისი ძმები და სხვა ნათესავები. სასო წარეკვეთა. მიატოვა მთები, სადაც მისი წინაპრები და ნათესავები ცხოვრობდნენ, სადაც ამბიციდან თვითონ ვეღარ იცხოვრებს — აქ ყველაფერი შვილებს აგონებს...

ზედიზედ მიფრინავდნენ ვერტმფრინავები. ამ დღის რამდენიმე საათში ხუთმა სამოქალაქო და სამმა სამხედრო ვერტმფრინავმა სამასზე მეტი კაცი გამოიხიზნა. ექვს ტონამდე ტვირთი აიტანა. საღამოს კვლავ ნისლი ჩამოწვა და გზა ჩაიკეტა. ხალხი სოფელ ჯვარში მიჰყავდათ. იქ ფეიზურთის მოედანზე ჯდებოდნენ მანქანები. გადარჩენილთ ავტობუსები, ექიმები, ცხელი კერძი და თანამემამულეთა გულის სითბო ელოდათ.

გუშინ აეროფლოტის დღე იყო. მაგრამ ვის ეცალა მისალოცად. პილოტები თავიანთ დღესასწაულს სტიქიასთან ბრძოლის წინა ხაზზე ხედებოდნენ. ხალხი უნდა გადაერჩინათ. გვიან საღამოს ქუთაისის გაერთიანებული ავიასაწარმოს შტაბში დავრჩით მეთაურის მოვალეობის შემსრულებელ ისლამ გიგანთან ერთად.

გასაკვირი იყო ამ ხმელ-ხმელი, ტანმორჩილი კაცის დაუშრეტელი ძალა და სიდინჯე. შევაქციროდი და ვხედავდი, გარიერაკედანვე როგორ წყვეტდა ათობით და ასობით გადაუდებელ საკითხს. მასთან კი მთელი დღის მანძილზე მოდიოდა ხალხი — ზოგს მთაში შვილებთან გაფრენა უნდოდა, სხვებს სურდათ შეეტყოთ, გადარჩა თუ არა მათი სოფელი, სადაც დედ-მამა ცხოვრობენ. ცრემლები, ვედრება, სასოწარკვეთილება... და ისიც ცდილობდა ყველას დახმარებოდა, ენუგეშებინა.

— რა თქმა უნდა, ძნელია გვეუბნება ისლამი, — მაგრამ უბედურება უნდა დავამარცხოთ. თორემ, თუ ყურები ჩამოვყარეთ, მეტი უბედურება დაგვატყდება თავს.

რას იზამ, მივულოცოთ განვლილი დღესასწაული დ. მაისურადის, ს. კურტიანის, ვ. ხარტონიშვილის, ა. ბუხარეევის, ვ. ნაუმენკოს, ა. პორტო-ნათენაძის, ზ. იკაევის, მ. ლაფაჩის, ო. ბელოდიძისა და ი. ფრუიძის ვერტმფრინავების ეკიპაჟებს. უჭირთ ახლა, მაგრამ ვაჟკაცობა მათი ხელობაა.

... ჯერჯერობით სტიქია უკან არ იხევს. კვლავ მოდის ზვავები. ხოლის რაიონის დატბორილ ადგილებში წყლის დონემ კვლავ 30 სანტიმეტრით მოიმატა. ბრძოლა გრძელდება.

ვ. ჩებაკოვი,
ვ. ვოროონინი.

(„პრავდის“ სპეც. კორესპონდენტები).

„პრავდა“. 1987 წ. 9. II.



ხურათებზე: მარნიულელებმა ყველაფერი იღონეს სტიქიით დაზარალებული ოჯახების დასაბინავებლად. საქართველოს კომკავშირის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი ბაქირ დამირჩალოვი თავად შეუძღვა ახალ ბინაში ერთ-ერთ ოჯახს; ასე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები საავტომობილო გზის 28-ე კილომეტრზე (ფოთიდან) და ხობის რაიონის სოფლების ჭალადიდისა და საგვიჩიოს საზღვართან.

შ. აივაზოვის (საქინფორმი) და თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ადამიანთა ორგანიზებულობა, ვაჟკაცობა, თავდადება ამარცხებს სტიქიას.

ძმური დახმარების ხელი

(დასასრული)

ამასთან, თადარიგი დაიჭირეს, რათა მოსწავლეებს ხელი არ შეეშალოთ სწავლაში, ხოლო სკოლამდელები სბავშვო ბაღა-ბაღის გარეშე არ დარჩნენ. გადაწყვეტილია აგრეთვე შრომითი მოწყობის საკითხებიც. ვისაც სურს, შეუძლია ადგილი დაიკავოს მეტალურგთა რიგებში ან ქარხნის დამხმარე მეურნეობაში განაგრძოს მიწათმოქმედის, მეცხოველის, მშენებლის პროფესიით მუშაობა.

ქარხანაში კიდევ ერთი კარგი თაოსნობა დაიბადა: ხალხმრავალ კრებებზე კოლექტივის მრავალმა წევრმა გამოთქვა სურვილი დაზარალებულთა დასახმარებლად გადარიცხონ რამდენიმე დღის გამომუშავებული თანხა. მე-700 ანგარიშზე მარტო ერთ დღეს გადირიცხა ასი ათასი მანეთი, შემდგომში კი გაცილებით მეტი გადირიცხება.

ზესტაფონი. ორგანიზებულობა და შემართება დაუპირისპირეს რაიონის სტიქიასთან მებრძოლმა შტაბმა, თითოეულმა მებრძოლმა კოლექტივმა და მოსახლეობამ უჩვეულო წყალდიდობას.

ორ დღეში გაუშვეს წყალსადენი, სასწრაფოდ შეაკეთეს ელექტროგადამცემი ხაზები და სატელეფონო ქსელი, შლამისაგან მთლიანად გაიწმინდა და გაირეცხა ქუჩები, ეზოები, მოედნები, დასუფთავდა დატბორილი მაღაზიები, კომფნალური და ეკონომ ბინათა სარდაფები და ქვედა სართულები, მოაწესრიგეს ცენტრალური სპორტული მოედანი. მუშაობა გაანალდა ფეროშენადნობთა ქარხანასა და სამკერვალო ფაბრიკაში, ნაწილობრივ ამუშავდა კაბელების ქარხანაც.

სოფელ შრომასთან, ძირულაზე აღდგენილია ფერმაში მისასვლელი საკალფეხო ხიდი. დაიწყო წყლისაგან წალეკილი გზების შეკეთება სოფელ ბოსლევსა და სანაბშირეში.

ქალაქში რუსთაველის ქუჩაზე დაიწყო მდინარე ყვირილის ორივე სანაპიროს გასამაგრებელი სამუშაოები, დაბა შორაპანში მწყობრში ჩადგა წყალსადენი, გაიწმინდა ბინები, სარდაფები და ეზოები.

აგროსამრეწველო გაერთიანება და საგზაო განყოფილებები ინტენსიურად მუშაობენ სასოფლო გზების აღდგენაზე. გაიწმინდა სვირის სადგურთან რკინიგზის ხიდქვეშ გამავალი გზა, რომელმაც მეცხოველეობის ორი მოწყვეტილი ფერმა დააკავშირა რაიონის ცენტრს. აღდგენილია ელექტრონასფორმატორები, როდინაულისა და არგვეთის წყალსადენები და სხვა ობიექტები.

ამ გაჭირვების ჟამს რაიონის მშრომელებს მხარში ედგნენ ოჩამჩირიდან, ცხინვალიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, გალიდან, გორიდან და ქარელიდან ჩამოსული მაშველი რაზმები.

დაიწყო რესპუბლიკის მთავრობის მიერ რაიონისათვის გამოყოფილი სხვადასხვა დანიშნულების სამშენებლო და სასურსათო საქონლის შემოტანა. ამ დღეებში ახალქალაქიდან 40 ტონა თივა შემოვიდა მეცხოველეობის ფერმებში, ხოლო თბილისის საქარხნო რაიონიდან 20 ტონა ცემენტი და 60 ტონა სხვადასხვა სახის სამშენებლო კონსტრუქციები შემოიტანეს.

საჩხერე. ერთი წუთითაც არ წყდება აღდგენითი სამუშაოები რაიონში. სტიქიასთან მებრძოლი შტაბის წევრები ოპერატიულად ასრულებენ ყოველგვარ დავალებას, შრომითი კოლექტივები და მოსახლეობა თავდადებით შრომობს.

ამგვარი გარჯის შედეგად მწყობრში ჩადგა ქალაქის წყალსადენი და გათბობის სისტემა. აღდგენილია ელექტროგადამცემი და სატელეფონო ხაზები. გაიწმინდა საკოლმეურნეო ბაზრის, ავტო და რკინიგზის სადგურების ტერიტორია. წყალდიდობიდან მესამე დღეს მუშაობა განაახლეს ბამბის სართავი კომბინატის შრომითმა კოლექტივმა, საწარმო-დაწესებულებებმა და სკოლებმა. ჭალა-სპეთის, საჩხერე-ლეჩის, საჩხერე-პერეკეთის, საჩხერე-მოხვის, საჩხერე-ცხვარის და სხვა მიმართულებით გაიწმინდა საავტომობილო გზები; გარდა სოფელ ცხამისა და ცხომარეთისა, უკვე მოძრაობენ ავტობუსები.

გამგრეგულია ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც დანგრევით ემუქრებოდა ყვირილა.

სოფლებში მიმდინარეობს ხიდებისა და ბოგირების, საუბნო გზებისა და წყალსადენების აღდგენა. მალე მწყობრში ჩადგება ცენტრალური რეტრანსლატორისაკენ მიმავალი მაღალი ძაბვის ხაზი.

რაიონს დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები. ამ დღეებში საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალურ მეურნეობის სამინისტრომ შემოიტანა სამი მძლავრი ტუმბო, ტრანსფორმატორი, ერთი სპეცდანიშნულების ავტომანქანა და კოშკურა ამწე. რესპუბლიკის ეკონომიკურმა მოსახლეობას უკვე გამოუყო პირველი საჭიროებისა და სხვა პროდუქტები; საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ რაიონს მოაწოდა სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა და თეთრეული; ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და თბილისის 26 კომისრის რაიონმა უკვე დაიწყეს რკინაბეტონის კონსტრუქციების შემოტანა.

ჭიათურა. რაიონის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, ოპერატიული შტაბის მიერ მობილიზებულ იქნა ტექნიკის ყოველგვარი საშუალება და ხალხი.

მდგომარეობა თანდათან სტაბილური ხდება. აღადგინეს ცენტრალური წყალსადენი და გათბობის სისტემა. როგორც მოსახლეობა, ასევე საწარმო-დაწესებულებები უზრუნველყოფილი არიან ელექტროენერგიით.

დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა რკინიგზის აღდგენისათვის, რის მეობებითაც უკვე ინტენსიურად მოძრაობენ სატვირთო და სამგზავრო მატარებლები.

საავტობუსო მიმოსვლა შეწყვეტილია ათი მიმართულებით. მიმდინარეობს მუშაობა ავტოტრანსპორტის მოძრაობის აღსადგენად სოფელ ხრეითის, ხვაშითის, ქვაცეხის, გეზრულის, ითხვისის და კაცხის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლების გზებზე.

უკვე ჩვეული რიტმით მუშაობენ სტაქიით დაზიანებული სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, რომლებიც პირადად დაათვალიერეს სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ი. ბიჩკოვმა და რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა ა. მოესესიანმა. მათ სისტემას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და სამრეწველო საქონლითა და სურსათით მომარაგება აღუთქვეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა დახმარება ჰიათურელებისადმი. მაგალითად, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ მეორე დღესვე მოაწოდა ქალაქს წყალსადენი მოწყობილობის მთელი კომპლექტი; ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომაც ოპერატიულად გამოგზავნა მედიკამენტები და ტექნიკური სამედიცინო საშუალებები.

თავდადებით იშრომეს გეოლოგიის სამმართველოს და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშაკებმა, რომლებმაც ოპერატიულად შეასრულეს პირველი რიგის სამუშაოები.

რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დახმარებით უმოკლეს დროში ჩადგა მწყობრში შესახამისი საწარმოები და კარიერები. კავშირგაბმულობის სამინისტრომ სასწრაფოდ გამოგზავნა სათანადო მოწყობილობა და ახალი სატელეფონო სადგურის გარე ქსელის უმოკლეს ვადაში დამთავრებასაც გვპირდება.

საწარმოო გაერთიანება „ჰიათურმანგანუმის“ კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად დროულად ამუშავდა მწყობრიდან გამოსული სამრეწველო საწარმოები და მამდიდრებელი ფაბრიკების 60-70 პროცენტი. დასახულია ამ საწარმოების სრული სიმძლავრით ამოქმედების ოპერატიული პროგრამა.

დაზარალებული მოსახლეობა ამ დღეებში მიიღებს დაზღვევას, საფინანსო და წმიელი ჯვრის ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ სახსრებს.

ტყიბული. რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობას — დაეხმარონ სტიქიით დაზარალებული რაიონების მოსახლეობას — ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანის — ლენინის სახელობის შახტის მუშა-მოსამსახურენი. საწარმოს ოთხივე ცალის სანგრევებში ჩაშვების წინ გაიმართა სახელდახელო მიტინგები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 700-ზე მეტმა კაცმა. ლენინელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, სტიქიის სალიკვიდაციო ფონდში რვა ათასი მანეთი გადაირიცხა.











ბოლოვი

10 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — აშკარა — დაუჯერებელი. 10.05 — ფილმ-ბალეტი ა. ს. პუშკინის მოთხრობის „პიკის ულალის“ მიხედვით. 11.20 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 და 23.35 — მულტფილმები ა. ს. პუშკინის ნაბატების მიხედვით. 17.50 — გამოგვეხმაურეთ, მეპუკვნო! 18.20 — ახალი ამბები. 18.30 — უკრავს ე. მოსკვიტინა (არფა). 18.55 და 22.40 — ალექსანდრე პუშკინის ხსოვნის საღამო სსრ კავშირის დიდ თეატრში. 22.00 — „ვრემია“.

ბიჭვინთა

10 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — 23.20 — დღეს მსოფლიოში. 0.15 — სსრ კავშირის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ისტორია. X კლასი. 10.05 და 14.15 — ფრანგული ენა. 11.05 და 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 11.35 და 12.40 — ბოტანიკა. V კლასი. 12.05 — რუსული მეტყველება. 13.00 — მხატვრული ფილმი „გასროლა“. 14.50 — ფიზიკა. X კლასი. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — თანამეგობრობა. 19.45 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 20.30 — რიტმული ტანვარჯიში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — „...თქვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „ყოველი მეათე“. 23.50 — ახალი ამბები.

ოქტომბერი

10 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრუბადური (26-ე აბონ. მე-2 წარმ.); მეტეხის — **განდეგილი**; მოზარდ მაყურებელთა ქართული — **სალამურა** (აბონ. № 28, 11 ს. აბონ. № 51, 7 ს.); ფილარმონია — **ანსამბლი „ოვერია“**. „თოვლის ბებოს ზღაპარი“ (დიდ საკონცერტო დარბაზში); ლიტვის სსრ სახელმწიფო ინსტრუმენტების კვინტეტი (კონსერვატორიის მცირე დარბაზში).











რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

მედლებისათვის ბრძოლა გრძელდება

დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ექვსეულში მოასპარეზეთა თბილისის ტურის მატჩები. ბოლო შეხვედრები ასეთი შედეგებით დასრულდა: ცსკა-თბილისის „დინამო“ — 77:66 (37:40), კაუნასის „ჟალგირისი“-დონეცკის „შახტიორი“ — 86:80 (49:39), ლენინგრადის „სპარტაკი“-რიგის ვეფი 83:79 (45:40).

არმიელებთან შეხვედრის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე თბილისელი დინამოელები 3 ქულით იყვნენ დაწინაურებული (63:60), მაგრამ ამ დროს ა. ოპოშნიანმა მეხუთე საჯარიმო მიიღო და დატოვა მოედანი. ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ დინამოელები პრაქტიკულად მხოლოდ ძირითადი ხუთეულით იბრძოდნენ, დაიღალნენ, მატჩის მიწურულს უკვე ვეღარ გაუძლეს დიდ დატვირთვას და შეხვედრა დათმეს.

ახლა გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ცსკა — 22 გამარჯვება, „ჟალგირისი“ — 20, თბილისის „დინამო“ და „სპარტაკი“ — 15-15, „შახტიორი“ — 14, ვეფი — 13 მოგება.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ფინალურ ექვსეულში მოასპარეზენი ერთმანეთს კიდევ 2-2-ჯერ შეხვდებიან (შინ და სტუმრად). გთავაზობთ ამ ეტაპის გათამაშების კალენდარს:

11 თებერვალი. „დინამო“ თბ.-„შახტიორი“, „სპარტაკი“ — ცსკა; **12.** ვეფი — „ჟალგირისი“; **13.** ვეფი — ცსკა; **14.** „სპარტაკი“ — „ჟალგირისი“; **16.** „ჟალგირისი“ — „შახტიორი“; **17.** ვეფი — „დინამო“ თბ; **20.** ცსკა — „დინამო“ თბ; **21.** „შახტიორი“ — „სპარტაკი“; **22.** „ჟალგირისი“ — დინამო თბ, „შახტიორი“ — ვეფი; **26.** „დინამო“ თბ — „სპარტაკი“; **28.** ცსკა — „შახტიორი“; ვეფი — „სპარტაკი“; **1 მარტი.** ცსკა — „ჟალგირისი“; **3.** „შახტიორი“ — „ჟალგირისი“, „დინამო“ თბ — ცსკა; **4.** „დინამო“ თბ — ვეფი; **6.** „სპარტაკი“ — ვეფი; **7.** „ჟალგირისი“ — ცსკა; **8.** „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“, „შახტიორი“ — „დინამო“ თბ; **9.** „შახტიორი“ — ცსკა; **12.** ცსკა — ვეფი; **13.** ცსკა — „სპარტაკი“; **15.** „დინამო“ თბ — „ჟალგირისი“, ვეფი — „შახტიორი“; **17.** „სპარტაკი“ — „შახტიორი“; **18.** „სპარტაკი“ — „დინამო“ თბ; ჟალგირისი — ვეფი.

22, 24 და 25 მარტს გაიმართება სუპერფინალური მატჩები ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისათვის.

გაიმარჯვეს მედიკოსებმა

თბილისში დამთავრდა ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მინი-ფეხბურთში. ფინალში გავიდნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები. ეს გადამწყვეტი შეხვედრა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა, და ძირითადი დრო ისე ამოიწურა, რომ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა — 2:2. პირველი ადგილის მფლობელის ვინაობა პენალტების ისერიამ გამოავლინა. ამ ეტაპზე იმარჯვეს მედიკოსებმა (3:0) და ცხადია ისინი დაეუფლნენ უძლიერესად წოდებას. აღსანიშნავი ისიც, რომ ნახევარფინალში, მედიკოსებმა მოუგეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს (1:0), ხოლო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი (5:4).

საბურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. მოსკოვის ზამთრის ღია ჩემპიონატზე შთამბეჭდავად იასპარეზა თბილისელმა **ვლადიმერ გაბრიჩიძემ.** მან ფინალური შეხვედრა მოუგო სსრ კავშირის ხალხთა IX საზაფხულო სპარტაკიადაში გამარჯვებულსა და საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის medlის პრიზიორს, კიეველ ალექსანდრე დოლგოპოლოვს (6:3. 7:6) და დედაქალაქის ჩემპიონის წოდებას დაეუფლა. ქალთა ერთეულებში უძლიერესის წოდება მოიპოვა მოსკოველმა ევგენია მანიუკოვამ, რომელმაც დამარცხა სსრ კავშირის ექსჩემპიონი, დონეცკელი ელენე ელისეენკო — 4:6, 6:3, 6:2. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები ანდრია ჩესნოკოვი, ლარისა სავჩენკო და ნატალია ზვერევა, მ